საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კონკურსი „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების

განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა“

პირობები

კონკურსი განხორციელდება განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „კულტურის ხელშეწყობა“ (32 10 02)

პრიორიტეტის **„ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების**

განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში

მუხლი 1. კონკურსის „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების

განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა“ **მიზანი**

1. კონკურსის „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა“ (შემდგომში -კონკურსი) მიზანია:

1.1. პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის, საკონცერტო ცხოვრების გააქტიურების, ახალგაზრდა მუსიკოსების პროფესიული ზრდის, საკომპოზიტორო ხელოვნების სტიმულირების მიზნით სხვადასხვა მიმართულების კონკურსებისა და ფესტივალების ხელშეწყობა:

ა) საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალების (საგუნდო, კამერული, ჩასაბერ საკრავთა, თანამედროვე მუსიკის და ა.შ.) ხელშეწყობა;

ბ) მუსიკალური კონკურსების (საშემსრულებლო და საკომპოზიტორო კონკურსების) ხელშეწყობა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

2.1. 2019 წლის მანძილზე კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად - თებერვალ-მარტში და ივლის-აგვისტოში;

2.2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ კლასიკური მუსიკალური ხელოვნების სფეროში მოღვაწე, საქართველოში რეგისტრირებულ, იურიდიულ პირებს (შემდგომში - კონკურსანტი);

2.3. კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა;
2.4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.
2.5. კონკურსში, პირველ ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2019 წლის 19 აპრილისა, მეორე ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი - არაუადრეს 2019 წლის 20 სექტემბრისა.
2.6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდეგში - სამინისტრო).

სამინისტროს მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 150 000 ლარს, რომლის ფარგლებშიც კონკურსანტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების თანხის ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.
2.7. კონკურსში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს:

ა) ***მუსიკალური ფესტივალების მიმართულებით:*** პროექტს, რომელიც ითვალისწინებს არანაკლებ 5-6 კონცერტის ჩატარებას, კონცერტებში ცნობილი ადგილობრივი და მოწვეული მუსიკოსების მონაწილეობას, მრავალფეროვან პროგრამებს, მათ შორის ქართული მუსიკის შესრულებას.
ბ) ***მუსიკალური კონკურსების მიმართულებით:***
საშემსრულებლო კონკურსი: პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საინტერესო, მრავალფეროვან პროგრამებს, ჟიურის ცნობილი მუსიკოსებით დაკომპლექტებას, ჟიურის წევრების მიერ, კონკურსის პარალელურად, ახალგაზრდა მუსიკოსთათვის მასტერ კლასების ჩატარებას.
კომპოზიტორო კონკურსი: პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ახალი მუსიკალური ნაწარმოების შესაქმნელად, წარმატებულ შედეგზე ორიენტირებული კონკურსის სრულყოფილ წესს, დებულებას, ჟიურის ცნობილი მუსიკოსებით დაკომპლექტებას.

გ) პარტნიორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას;

დ) პროექტის წარმომდგენს გააჩნია მუსიკალური ხელოვნების სფეროში პროექტის/ების განხორციელების გამოცდილება.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

3.1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

3.1.1.განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე, თანდართული(დანართი N1) ფორმის შესაბამისად;

3.1.2. საკონკურსო განაცხადი დანართი N2-ის - შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;

ბ) პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შემთხვევაში, თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ.

3.2. კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე;
3.3. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.
3.4. პროექტის განხორციელების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ დანართი N4-ის შესაბამისად (ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით).

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

4.1 სამინისტროში რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში -მინისტრი) მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია;

4.2. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, 100 ქულის ფარგლებში.

#	შეფასების კრიტერიუმი
1	**პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან**
2	**პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)**
3	**ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში**
4	**კონკურსანტის მიერ ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილება**
5	**პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა**

4.3. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვავაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც 1-ელი და მე-2 კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს.

4.4. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის კონკურსანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი (შემდგომში პროექტი) დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

4.5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამარჯვებული პროექტის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) პროექტის მოწონების შესახებ;
ბ) მოწონებული პროექტის სრულად ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ;

დ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ.

ე) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

ვ)საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90 % -ის ოდენობით.

4.6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, გამარჯვებულ კონკურსანტს, მოსთხოვოს, მისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის დაზუსტების ან სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

4.7. საკონკურსო კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული განაცხადის (დანართი N3) წარმოდგენის თაობაზე, კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის culture@mes.gov.ge საშუალებით ეცნობება კონკურსანტს;

4.8. კონკურსანტი ვალდებულია დაზუსტების მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

4.9. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის, ან ხარვეზით, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

4.10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც წარედგინება მინისტრს;

4.11. კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.

4.12. თუ გამარჯვებული კონკურსანტი, სამინისტროს სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციაა, მისი დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის N132 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი 32 10 02) ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების წესის შესაბამისად.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი:

5.1. ანგარიშსწორება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით წინასწარი ანგარიშსწორება საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, შესაძლებელია მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

5.3. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით წინასწარი ანგარიშსწორება პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90 %-ის ოდენობით, შესაძლებელია, მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით.

5.4. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის თანხის გადატანა (ცვლილება) შესაძლებელია სამინისტროდან მიღებული დაფინანსების არაუმეტეს 10% ოდენობით, გარდა შრომის ანაზღაურების მუხლისა.
5.5. პროექტის დასრულების შემდგომ, კონკურსი გამარჯვებული პირი ვალდებულია სამინისტროში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში დანართ N4-ის შესაბამისად, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

მუხლი 6. კონკურსის ვადები

6.1. საკონკურსო განაცხადები მიიღება:

კონკურსის I ეტაპზე

2019 წლის 25 თებერვლიდან 18 მარტის 15:00 სთ-მდე

კონკურსის II ეტაპზე

2019 წლის 22 ივლისიდან 13 აგვისტოს 15:00 სთ-მდე

საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4, , ან თბილისი უზნაძის ქ. N52.

6.2. განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე სამინისტროში კონსულტაციები გაიმართება:

კონკურსის I ეტაპზე

ა) 2019 წლის 27 თებერვალს 14:00 სთ-ზე;
ბ) 2019 წლის 4 მარტს 14:00 სთ-ზე;

კონკურსის II ეტაპზე

გ) 2019 წლის 25 ივლისს 14:00 სთ-ზე;
დ) 2019 წლის 9 აგვისტოს 14:00 სთ-ზე;

მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4.

6.3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე: www.mes.gov.ge

კონკურსის I ეტაპზე გამარჯვებული პროექტების შესახებ: 2019 წლის 19 აპრილამდე.
კონკურსის II ეტაპზე გამარჯვებული პროექტების შესახებ: 2019 წლის 20 სექტემბრამდე.

6.4. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ უბრუნდება.